პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი 30 იანვარი 1940 წ. № 24 (5725) ფასი 10 კაპ.

29 იანვარს, 18 საათზე ყინულმჭრელი „ი. სტალინი“ და ყინულმჭრელი გემი „გ. სედოვი“ მურმანსკის ნავსადგურში ჩამოვიდნენ.

მთელი ხალხის პატივითა და დიდებით გარემოსილნი, არქტიკის სასტიკ ნელექებთან ბრძოლაში გამოწრთობილი სედოველები სამშობლოში დაბრუნდნენ.

სალამი სამშობლოს მამაც შვილებს, სახელოვან სედოველებს!

სამშობლო მამაც შვილებს ეგებება

დღეს მურმანსკში ჩამოდის ყინულმჭრელი გემი „გიორგი სედოვი“, რომელმაც ჩვენი სამშობლოს დროშა ცენტრალური არქტიკის მიუდგომელ ყინულებში გამოატარა. დღეს მშობლიურ ნაპირზე გადმოვა 15 შესანიშნავი საბჭოთა პატრიოტი — პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, რომლებმაც გამოიჩინეს გმირობა, რითაც სამართლიანად ამაყობს მთელი ჩვენი ხალხი და ოლტაცებულია მთელი მოწინავე კაცობრიობა. სამშობლო პატივისცემითა და მადლობით ეგებება თავის მამაც შვილებს. ამავე დროს მურმანსკში ბრუნდება საბჭოთა არქტიკული ფლოტის ფლაგმანიც, ყინულმჭრელი „ი. სტალინი“, რომლის ეკიპაჟმა სასახელო მუშაობა გასწია ყინულებიდან „სედოვის“ გამოსაყვანად.

ორ წელზე მეტი ხნის წინათ ლაპტევების ზღვაში პოლარულმა ყინულებმა შეჰბოჭა ყინულმჭრელი გემი „გიორგი სედოვი“ და დაუძლეველი ძალით გაიტაცა იგი ჩრდილოეთით, არქტიკის გამოუკვლეველი განედებისაკენ. „გიორგი სედოვი“ მოდრეიფე სამეცნიერო ლაბორატორიად გადაიქცა. ამ ლაბორატორიას უნდა შეესწავლა კანონები, რომლებიც განაგებენ ყინულთა განაწილებას პოლარულ ზღვებში, უნდა შეესრულებინა ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური გამოკვლევა, შეეგროვებინა ცნობები ოკეანის სიღრმეთა შესახებ, უნდა მოეხდინა დეადამიწის მაგნეტიზმის ელემენტთა მეცნიერული დაკვირვება, ერთი სიტყვით — უნდა გაეფართოებინა არქტიკის შესახებ ჩვენი ცოდნა, რომელიც უზრუნველჰყოფდა პოლარულ ზღვებში საბჭოთა გემების უფრო წარმატებით ნაოსნობას. სედოველებმა ბოლშევიკური მგზნებარებით მოჰკიდეს ხელი საქმეს, მამაცურად და დაჟინებით მიიყვანეს იგი ბოლომდე და ახლა მშობლიურ მიწაზე ბრუნდებიან მასალებითურთ, რომლებიც ძვირფას განძს წარმოადგენენ არქტიკული მეცნიერებისათვის.

უშიშარმა პოლარელმა ზღვაოსნებმა, რომლებიც 1937 წლის 23 ოქტომბერს ტყვედ ჩაიგდო არქტიკის სტიქიონმა, ღირსეულად გადაატანეს მძიმე განსაცდელი და გამარჯვებულნი გამოვიდნენ, რითაც ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს მსოფლიოს საბჭოთა ქვეყნის ძლიერება, საბჭოთა ადამიანების თავდადება, მამაცობა და სულის სილამაზე. სედოველთა სახელებს, რომლებიც 2-3 წლის წინათ პოლარელ მეზღვაურთა მხოლოდ განსაზღვრული წრისათვის იყო ცნობილი, ახლა მთელი მსოფლიო იცნობს. ისინი სამუდამოდ შევლენ არქტიკაზე ბოლშევიკების ძლევამოსილი შეტევის ისტორიაში, ისინი მაგალითი იქნებიან იმ გმირული ბრძოლისა, რომელსაც ეწევიან საბჭოთა ადამიანები ბუნების საუკუნოებრივ საიდუმლოებათა გამოსაცნობად, სტიქიონის ძალებზე ადამიანის გონებისა და ნებისყოფის გასამარჯვებლად.

არქტიკაში ჩვენ წლითი-წლობით უფროდაუფრო მეტ წარმატებებს ვაღწევთ. პოლარულმა ზღვებმა, რომლებიც ახლო წარსულში გაუვალი იყო ზღვაოსნობისათვის, ახლა გაიწ-გამოიწიეს საბჭოთა ადამიანების ორგანიზებული შეტევის წინაშე. ბოლშევიკების პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ პოლარელებს ხელთ მისცეს ყოველივე ის, რაც კი საჭირო იყო არქტიკის წარმატებით ათვისებისათვის. ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის კუნძულებსა და სანაპიროზე ახლებული სამეცნიერო-საკვლევო პოლარული სადგურების ფართო ქსელი, მძლავრი ყინულმჭრელი ფლოტისა და პოლარული ავიაციის შექმნა, ნავსადგურებისა და რადიოსადგურების მშენებლობა, ყოველწლიური სამეცნიერო ექსპედიციები, პოლარული ზღვების რეჟიმის რეგულარული დაკვირვება, — ყოველივე ეს გვიჩვენებს არქტიკაში წარმოებული მუშაობის ბოლშევიკურ გაქანებას. გაწეული მუშაობის ძასტაბი რომ შევაფასოთ, საკმარისია თუნდაც ერთი ციფრი დავასახელოთ. გასულ წელს, ნავიგაციის განმავლობაში, ჩრდილოეთის საზღვაო გზით გაიარა 104 გემმა, რომელმაც ტვირთის გადაზიდვის დიდი პროგრამა შეასრულეს. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ ჩვენს ქვეყანას ამოცანად დაუსახა მესამე ხუთწლედის დამლევისათვის ნრომალურად მოქმედ საწყლო მაგისტრალად გადაქცეოს ჩრდილოეთის საზღვაო გზა. საბჭოთა პოლარელების არმია, ამ ყრილობის გადწყვეტილებებით აღფრთოვანებული, განაგრძობს შეტევას არქტიკაზე.

გმირ პაპანინელთა მსგავსად, სედოველთა სახელოვანმა კოლექტივმა თავისი უდიდესი განძი შეიტანა ამ ტიტანურ მუშაობაში. მოდრეიფე გემზე 15 საბჭოთა მეზღვაურის ცხოვრება და მუშაობა, დრეიფის ულაღრესად მძიმე წუთებში მათი მოქმედება გვიჩვენებს, თუ რა მაგარი მასალისაგან არიან გამოკვეთილნი საბჭოთა ადამიანები. პარტია, მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი უოველდღიურად ადევნებდნენ თვალყურს პოლარულ ყინულებში მომუშავე პატარა კოლექტივის თავდადებულ მოქმედებას. იმის შეგნება, რომ მათს მუშაობას დედობრივი ალერსით ადევნებდა თვალყურს საყვარელი სამშობლო, რომელიც ყოველ მომენტში მზად იყო დახმარებოდა მათ, ძალას ჰმატებდა სედოველებს სტიქიონთან ბრძოლაში. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ მოლოტოვის ყოველდღიური ყურადღება და გულის ალმაზნები მზრუნველობა, რომელსაც ისინი იჩენდნენ „გიორგი სედოვის“ ეკიპაჟის მიმართ, აღაფრთოვანებდნენ მას ყველა სიძნელეთა გადასალახავად, ამხნევებდნენ, განუმტკიცებდნენ გამარჯვების რწმენას. გმირული დრეიფის მთელი ხნის განმავლობაში სედოველთა გული მიპყრობილი იყო ამხანაგ სტალინისაკენ — იმისაკენ, ვისი სახელიც საგმირო საქმეებისათვის ალაგზნებს საბჭოთა ადამიანებს.

ერთი წლის წინათ დაიბადა აზრი — მფრინავთა ექსპედიცია გაეგზავნათ „გიორგი სედოვისაკენ“, შეეცვალათ მისი ეკიპაჟი, რომელიც უკვე 16 თვე იმყოფებოდა ყინულებში და მოზამთრენი თვითმფრინავებით გადმოეყვანათ დიდ მიწაზე. დრეიფის ყოველი მონაწილის წინაშე წარმტაცი პერსპექტივა დაისახა — დაბრუნებოდა ოჯახს, მეგობრებს. მაგრამ 15 გმირიდან არცერთმა არ მოისურვა დაეტოვებინა თავისი საპატიო პოსტი დრეიფის დამთავრებამდე.

„მიუხედავად იმისა, — რადიოთი აუწყებდნენ სედოველები ამხანაგ სტალინსა და ამხანაგ მოლოტოვს, — რომ პარტია და მთავრობა სპეციალურ ექსპედიციას ამზადებენ ჩვენთვის და ამით მოზამთრეთა ახალი შემადგენლობის მიერ ჩვენი შეცვლის შესაძლებლობას ჰქმნიან, ჩვენ, ვითვალისწინებთ რა ძველი მონაწილეების მიერ დრეიფის განგრძობის დიდ მეცნიერულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას, ერთსულოვნად მზადა ვართ დრეიფის ბოლომდე დავრჩეთ ყინულმჭრელ გემზე“.

ამ საქციელში გამოჩნდა თვითეული სედოველის ხასიათის თვისება. დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, იმის სურვილი, რომ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, გაემდიდრებინათ საბჭოთა მეცნიერება ახალი აღმოჩენებით და შეენარჩუნებინათ თავიანთი გემი — აი, რით ხელმძღვანელობდნენ გმირი სედოველები, როცა მათ გადასწყვიტეს უარი ეთქვათ დრეიფის დამთავრებამდე შინ დაბრუნებაზე.

ცდილობდნენ რა რაც შეიძლება უკეთ და სრულად განეხორციელებინათ დასახული პროგრამა, ყველა სედოველები დიდის ენტუზიაზმით ეწეოდნენ მეცნიერულ დაკვირვებას, ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანები, რომელნიც ჩვეულებრივ დროს მრავალნაირ მოვალეობას ასრულებდნენ გემზე, პროფესიულ მეცნიერთა გულმოდგინეობით ეწეოდნენ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას. ამგვარად, სედოველების მეცნიერული დაკვირვების შედეგი მთელი ეკიპაჟის ნამდვილი კოლექტიური ნაშრომია.

სადაც უნდა მოხვდეს გარემოების მეოხებით საბჭოთა ადამიანი — შორეულ ადგილას ზამთრობაში თუ მოდრეიფე ყინულზე, — იგი მუდამ თავისი სამშობლოს თანაზიარი ცხოვრებით ცხოვრობს. არქტიკის დაპყრობის ისტორიამ წარსულში ცოტა კი არ იცის იმის მაგალითი, რომ კულტურულ სამყაროს დიდი ხნით მოწყვეტილი ადამიანები მორალურადაც და ფიზიკურადაც დაცემულან. რა დიდ კონტრასტს წარმოადგენს ასეთ ადამიანებთან შედარებით სედოველთა საოცხოო კოლექტივი! ჩვენი სახელოვანი პოლარელები დრეიფის დღეებში სისტემატურად ამაღლებდნენ თავიანთი პოლიტიკური და ზოგადი განათლების დონეს, გემზე განუწყვეტლივ მიმდინარეობდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, სწავლობდნენ პარტიის ისტორიას, პოლიტიკურ ეკონომიას, მოწყობილი იყო კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტექნიკური კურსები. სედოველები ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ცხოვრებას დიდ მიწაზე, ძთელს საბჭოთა ხალხთან ერთად შეჰხვეოდნენ ჩვენს წარმატებებს.

გულთბილი, გამამხნევებელი სიტყვები მიჰქონდა რადიოტალღებს მშობლიური მიწიდან მოდრეიფე გემზე. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დავალებით სამჯერ მიესალმნენ სედოველებს ამხანაგი სტალინი და ამხანაგი მოლოტოვი. რეგულარულად მიდიოდა ცნობები ნათესავებისა და მეგობრებისაგან. მურმანსკის ოლქის მშრომელებმა აცნობეს სედოველებს, რომ 15-ვე გმირი არჩეულია ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად. ვერც ყინულების მსხვრევის გრიალმა, ვერც ქარის ზუზუნმა — ვერაფერმა ვერ დაჰფარა საყვარელი სამშობლოს ხმა.

სედოველები დამშვიდებით შეჰყურებდნენ თავიანთ ბედს, რადგან იცოდნენ, რომ მათთვის ზრუნავს მშობლიური ქვეყანა, რომ ყოველ მათ ნაბიჯს ყურადღებითა და მზრუნველობით ადევნებს თვალყურს ამხანაგი სტალინი, და როცა დრეიფი დამთავრდა, როცა „სედოვს“ არქტიკული ფლოტის ფლაგმანი ყინულმჭრელი „ი. სტალინი“ მიადგა, ჩვენი სამშობლოს 15 მამაცმა შვილმა მადლობის პირველი სიტყვებით მიმართა იმას, ვინც მთელი ყინულოვანი დრეიფის განმავლობაში მამობრივად წარმართავდა მათ და გამარჯვებისაკენ მიჰყავდა.

„თქვენი სახელი, ამხანაგო სტალინ, — რადიოთი მიმართეს სედოველებმა ამხანაგ სტალინს ორი ყინულმჭრელის შეხვედრის დღეს, — გვაფრთოვანებდა ულაღრესად მძიმე წუთებში, თქვენი სახელით აღფრთოვანებულნი, ჩვენ ყოველი სიძნელის გადასალახავად მივდიოდით და ვძლევდით კიდეკაც. სამშობლოში ჩვენი ხომალდით ვბრუნდებით, რომელიც, სასტიკი სტიქიონის მთელი ეერიშების მიუხედავად, შეეინარჩუნეთ. ჩვენ ძალლონით სავსენი ვბრუნდებით დიდ მიწაზე და მზად ვართ ვიმეუშაოთ სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი მეცნიერების სასარგებლოდ, ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სასარგებლოდ, რომლისთვისაც უცხოა დამარცხებანი. მგზნებარე სალამი თქვენ და დიდი მადლობა ზრუნვისათვის, მშობლიურო ოსებ ბესარიონის-ძევ!“.

საბჭოთა ადამიანების ბოლშევიკურმა ნებისყოფამ გაიმარჯვა. სედოველები სამშობლოში ბრუნდებიან როგორც გმირები, არქტიკის სიძნელეებთან ბრძოლაში გამოწრთობილნი, მთელი ხალხის პატივითა და დიდებით გარემოსილნი. მურმანსკის მშრომელებთან ერთად, რომელნიც სახელოვან სედოველებს ხვდებიან დღეს, მთელი ჩვენი ქვეყანა გულში ჩაიკრავს საბჭოთა ხალხის მამაც შვილებს.

„პრავდის“ მოწინავე, 29/I.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კართოგრაფიის მთავარ სამმართველოს რუკა—„ყინულმჭრელ „გიორგი სედოვის“ დრეიფი“. ფოტო გ. შიროკოვისა (საკდესის ფოტოკლიშე).

დიდი ხნის ნანატრი შეხვედრის წინ

მურმანსკი, 27 იანვარი (საკდესის სპეციკორ.). სადღესასწაულოდ მოირთო ქალაქი, რომელსაც სამართლიანად ეწოდება არქტიკის კარი. მურმანსკს არაერთხელ გაუცილებია სიყვარულით პოლარულ სივრცეთა მამაცი დამპყრობლები და არაერთხელ შეხვედრია მათ სიყვარულით. სახლის ფასადებზე, მაღაზიების ვიტრინებზე გამოფენილია ამხანაგი სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების პორტრეტები, ლეგენდარული ყინულმჭრელის „გიორგი სედოვის“ კაპიტნის—კ. ს. ბადიგინის და მისი 14 მამაცი თანამგზავრის, საბჭოთა კავშირის გმირის, ი. დ. პაპანინის პორტრეტები, ყველგან ფრიალებს ალისფერი ბაირაღები. ქალაქის ყველაზე დიდი შენობის—არქიტიკული ნაოსნობის—ფრონტონზე მოსჩანს ვეებერთელა პანო, რომელიც გამოჰხატავს ორი საბჭოთა ყინულმჭრელის გულისამგერ შეხვედრას ყინულებში.

მურმანსკის მოსახლეობა გულთბილ შეხვედრას უმზადებს სედოველებს.

სავაჭრო ნავსადგურის ბევრი მუშა დადგა სედოველთა სახელობის ვახტზე. მურმანსკისა და კანდალაკშის სადგურების დეპოში საორთქლმავლო ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებიან იმ სპეციალური მატარებლის წაყვანის უფლებისათვის, რომლითაც გმირები მოსკოვს გაემგზავრებიან.

ყოფილ საარჩევნო უბნებში, სადაც სედოველებმა კენჭი იყარეს ადგილობრივი საბჭოს დეპუტატობაზე, აგიტატორები მშრომელებს მოუთხრობენ მამაცი ეკიპაჟის საგმირო საქმეებს.

კულტურის სახლში გახსნილია ლეგენდარული დრეიფისადმი მიძღვნილი გამოფენა. ასეთივე გამოფენებია მოწყობილი საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის პარტიულ კაბინეტში, ადგილობრივი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში და გემთსარემონტო ქარხნის კლუბში.

სედოველთა სახელზე უამრავი მისალმება მოდის ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან. მოქმედი წითელი არმიის ერთერთი ნაწილის მეომრები და მეთაურები სწერენ:

„ძვირფასო ამხანაგებო, თქვენ განასახიერეთ საბჭოთა ხალხის საუკეთესო თვისებანი: გმირობა, შეუპოვრობა, უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, ამხანაგი სტალინის ყოველგვარი დავალების შესრულებისათვის მზადყოფნა.

თქვენი საგმირო საქმეები აღგვაფრთოვანებს ჩვენ, მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეომრებს, ახალი საგმირო საქმეებისათვის ჩვენი აყვავებული სამშობლოს სადიდებლად, დიდი სტალინის სადიდებლად“.

რადიოსადგურები ყინულმჭრელ „გ. სედოვის“ გემბანიდან იღებენ სახელოვანი ეკიპაჟის მისალმებებს, მიმართულს ქალაქისა და ოლქის მშრომელებისადმი. სედოველთა უკანასკნელი რადიოგრამა მიმართული იყო კოლის ნახევარკუნძულის ახალგაზრდობისადმი. რადიოგრამაში ნათქვამია:

„გ. სედოვის“ მთელი ეკიპაჟის სახელით მადლობას გითვლით გულთბილი მისალმებისათვის, ძვირფასო ამხანაგებო. ძმურ სალამს ვუძღვნით მურმანსკის ოლქის კომკავშირელებს და მთელს ახალგაზრდობას. ნახვამდის, ახლო მომავალში სასიხარულო შეხვედრამდე! კ. ბადიგინი, დ. ტროფიმოვი“.

ნ. პეტროვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — ამხანაგ სტალინს
სსრ კავშირის სახკომსაბჭო — ამხანაგ მოლოტოვს

პარტიისა და მთავრობის დავალების მეორე ნაწილი შესრულებულია. ყინულმჭრელი გემი „გ. სედოვი“ გამოყვანილია გრენლანდიის ზღვის ყინულებიდან და მოყვანილია მურმანსკის ნავსადგურში. სოციალისტური სამშობლოს 15 მამაცი პატრიოტი დაბრუნდა საბჭოთა მიწაზე. 1940 წლის 29 იანვარს, 18 საათზე ყინულმჭრელი „ი. სტალინი“ და ყინულმჭრელი გემი „გ. სედოვი“ მოადგნენ მურმანსკის ნავსადგურს. სახაზო ყინულმჭრელის „ი. სტალინის“ მატერიალური ნაწილი სრულ წესრიგზეა, ეკიპაჟი ჯანსაღად არის და ბედნიერი იქნება შეასრულოს პარტიისა და მთავრობის ყოველი ახალი დავალება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს უფროსი პაპანინი

ყინულმჭრელი „ი. სტალინის“ კაპიტანი ბელოუსოვი

ყინულმჭრელი „ი. სტალინი“

1940 წლის 29 იანვარი. მურმანსკის ნავსადგური.

საარჩევნო კამპანია უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქებში

როვნო. სულ უფროდაუფრო ფართოდ ჩაღდება უკრაინის დასავლეთი ოლქებიდან სსრ კავშირისა და უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების კამპანია. დაიწყო საოლქო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატთა წამოყენება. მშრომელნი თავიანთ საუკეთესო წარმომადგენლებს ასახელებენ საარჩევნო კომისიების წევრებად.

როვნოს კამფეტის ფაბრიკა „კრასნაია ზარიაში“ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი წინადადებას, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად რეკომენდებულ იქნას ფაბრიკის სახეევი საამქროს უფროსი, კომკავშირელი პოლია შმუკლერი. მას იცნობენ იმ ენერგიული მუშაობით, რომელსაც იგი არალეგალობის პირობებში ეწევოდა. ამხ. შმუკლერი. დიდხანს იტანჯებოდა პანების პოლონეთის საპყრობილეთა საკანებში.

○

მინსკი. ბელოსტოკში დაიწყო საარჩევნო კანონის შემსწავლელი, აგიტატორთა სამდღიანი სემინარების მეცადინეობა. აგიტპუნქტებისა და საარჩევნო უბნებისათვის გამოყოფილია შენობები. შექმნილია სტალინური კონსტიტუციის შემსწავლელი 670 წრე.

საწარმოებსა და დაწესებულებებში დაიწყო წარმომადგენელთა გამოყოფა საოლქო და საუბნო კომისიებში.

ქალაქ რადოშკოვიჩის რამდენიმე ათასი მშრომელი გაეცნო ამხანაგ სტალინის მიერ ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვას. (საკდესი).

○

ბრესტი. ქალაქში შექმნილი და დამტკიცებულია 6 საოლქო საარჩევნო კომისია. თავიანთ წარმომადგენლებად საოლქო კომისიებში მშრომელებმა გაგზავნეს ქალაქის საუკეთესო ადამიანები. მათ შორის — დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების დეპუტატები: ამხ. საჩუკი, ზასიმოვიჩი, რიბაკი და სხვები. ქალაქის საბჭო შეუდგა 35 საარჩევნო უბნის მოწყობას.

საწარმოებში, დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში დაიწყო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატთა წამოყენება. სულ საოლქო და საუბნო კომისიებში იმუშავებს 200-მდე კაცი.

○

პინსკი. დამტკიცებულია ბელორუსიის დასავლეთ ოლქებისაგან სსრ კავშირისა და ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები. კომისიების შემადგენლობაში არიან — ასანთის „17 სექტემბრის“ სახელობის ფაბრიკის მუშა-ქალი ამხ. შაპირო, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დაწინაურებულ იქნა სატენი საამქროს ოსტატის თანამდებობაზე, ლენინიცის სადგურის დეპოს მუშა ამხ. დეტალოვსკი და სხვები. საარჩევნო კომისიებში მშრომელებმა გაგზავნეს თავიანთი 189 საუკეთესო წარმომადგენელი, მათ შორის 37 ქალი.

28 იანვარი (საკდესი).

მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავის შესახვედრად

წითელი არმიის ცენტრალურ სახლში

წითელი არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალური სახლი გაცხოველებით ემზადება წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავისათვის. 4 თებერვალს აქ თავს მოიყრიან მოსკოვის გარნიზონის ნაწილთა სამხედრო კორესპონდენტები. მათ წაუკითხავენ მოხსენებას წითელარმიული პრესის ამოცანების შესახებ წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავთან დაკავშირებით. მოსკოვის გარნიზონის ნაწილთა აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის ეწყობა სასინტრუქციო მოხსენებანი თემებზე: „ლენინი, სტალინი და წითელი არმია“, „წითელი არმიის მშენებლობის ძირითადი ეტაპები“ და სხვ. გაიმართება ლექცია—„წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ადამიანები მხატვრულ ლიტერატურაში“.

ცენტრალური სახლის დარბაზებში იხსნება საბჭოთა ფოტოხელოვნების ოსტატების ნაწარმოებთა დიდი გამოფენა, რომელიც ასახავს წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცხოვრებასა და ყოფას, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას. სახლის ბიბლიოთეკა აწყობს XXII წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენას.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ცენტრალური მუზეუმი XXII წლისთავისათვის ავსებს თავის განყოფილებებს—„რეგულარული წითელი არმიის შექმნა“ და „კარელიაში 1921-22 წლებში თეთრ ფინელთა ბანდების ლიკვიდაცია“ და აწყობს გამოფენას — „თეთრფინელებთან ბრძოლის გმირები“. მოსკოვის გარნიზონის ნაწილებში იგზავნება მუზეუმის მოძრავი გამოფენები თემაზე—„წითელი არმია სოციალისტური სამშობლოსათვის ბრძოლაში“.

(საკდესი).

საბჭოთა კინემატოგრაფიის 20 წლისთავი

თებერვალში საბჭოთა კინემატოგრაფიის 20 წლისთავი აღინიშნება. იუბილეს დღეებში ამ ყველაზე უფრო მასობრივი ხელოვნების მუშაკები საბჭოთა კინემატოგრაფიის ოცი წლის მუშაობის შედეგებს შეაჯამებენ და მისი შემდგომი განვითარების გზებს დასახავენ.

5-დან 15 თებერვლამდე ყველა კინოსტუდიასა და კინომრეწველობის საწარმოში კრებები გაიმართება და მოხსენებები მოეწყობა საბჭოთა კინოს 20 წლისთავის შესახებ და კრება გაიმართება აგრეთვე იუბილართა და საუკეთესო სტახანოველთა პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში საიუბილეო კინოფესტივალი გაიმართება.

კინოქრონიკის მოსკოვის სტუდია იუბილესათვის გამოუშვებს დოკუმენტურ ფილმს, რომელიც გვიხატავს კინემატოგრაფიის ოსტატებს, კინოსურათების გადამღებთა ჯგუფების მუშაობას, კინო-მექანიკური მრეწველობის საწარმოებსა და კინოსასწავლებლებს (საკდესი).

ყირიმის პროპაგანდისტები და აგიტატორები საქართველოში

28 იანვარს საღამოს ქ. სიმფეროპოლიდან ბათუმში ჩამოვიდა ყირიმის ასსრ პროპაგანდისტთა და აგიტატორთა ჯგუფი 146 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. ი. კირიმოვი.

29 იანვარს ბათუმიდან ეს ამხანაგები ჩამოვიდნენ ქ. გორში, სადაც დიდი ინტერესით დაათვალიერეს ისტორიული სტალინური ადგილები. მათ ნახეს სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა ხალხთა საყვარელმა ბელადმა დიდმა **სტალინმა.** დაათვალიერეს აგრეთვე გორის ყოფილი სასულიერო სასწავლებლის შენობა, სადაც სწავლობდა ახალგაზრდა სტალინი.

გუშინ, საღამოს 8 საათზე, პროპაგანდისტთა და აგიტატორთა ეს ჯგუფი ჩამოვიდა თბილისში. აქ ისინი დაჰყოფენ სამ დღეს, დაწვრილებით გაეცნობიან დიდი სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს, დაათვალიერებენ ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს, ავლაბრის რესტავრირებულ არალეგალურ სტამბას და სხვ.

2 თებერვალს სტუმრები დაბრუნდებიან ქალ. ბათუმში და ორ დღეს მოანდომებენ დიდი სტალინის არალეგალურ რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილების გაცნობას, რის შემდეგ გაემგზავრებიან ყირიმში.

ექსკურსია სტალინური მარშრუტით

ბაქოდან თბილისს ჩამოვიდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ხარკოვისა და მელიტოპოლის ინსტიტუტების სტუდენტთა და კიევის, ოდესის, ორჯონიკიძისა და სხვა საოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების მსმენელთა ჯგუფი. ჩამოსული 90 ამხანაგი სწავლის საუცხოო მაჩვენებლებისათვის დაჯილდოებულია სტალინური მარშრუტის ექსკურსიით. ექსკურსია საზამთრო არდადეგების დღეებში მოაწყო სამხრეთის მტს-ების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა.

30 იანვარს ექსკურსანტები გაემგზავრებიან ამხანაგ სტალინის სამშობლოში — ქალაქ გორს.

(საქდესი).

სანდრო ეული

შეხვედრა

სადაც ოცნება ჩაეძირა ყინვის ნაპრალებს
სადაც აღმოხდა თავგანწირულ ამუნდსენს კვნესა,
იქ ყინულმჭრელი წითელ დროშას მიაფრიალებს,
და ყინულოვან მინდვრებზე შუქს აფრქვევს და სთესავს.
სადაც ქარბუქი მძვინვარებით ჰგვის ყინვის ველებს
და დაუპყრია ეს უდაბნო სტიქიის მეფეს, —
შორიდან ხედავ, თითქოს ვიღაც გიშვერდეს ხელებს,—
ეს „სედოვია“ — აქ მოზამთრე და მოდრეიფე.

ბგონია, თითქოს განწირულა გემი პატარა
ამ ყინულოვან უდაბნოში კენტად დამდგარი,
გემი კი მიდის და ყინვები დაფ შვნა, დაჰყარა,
მიდის ყინვებში უშიშარი და გულმაგარი.

რამდენჯერ იდგა უფსკრულის წინ შეუპოვარი
და განიცადა საშიშარი მძიმე წუთები,
მაგრამ წინსვლაზე ეთქმებოდა განა უარი,
როცა არქტიკის დაემსხვრია უნდა ხუნდები?

ეს ორი წელი საუკუნეს გატოლებული,
ხუთმეტ დეკემბრთა დაბრუნების ნატვრად გამხდარა,
მათი გულებიც მღელვარეა, ატოკებული, —
გმირულმა გემმა დავალება რომ დაამთავრა.

ჰქონდათ ბრძანება: — ტყვეობიდან დაიხსნის „სედოვს“
გემი, რომელიც ქვეყნის მხსნელის ატარებს სახელს,
მათი გმირობით მილიონებს გული აეხთოს
და უხაროდეს სედოველთან შეხვედრა მნახველს...

აი, გამოჩნდა... და წუთები დღეებათ იქცენ,—
მიუახლოვდა ყინულმჭრელი „სტალინი“ „სედოვს“,
მათ გემბანიდან ერთმანეთი შორიდან იცნეს, —
რა ძალა შეძლებს, რომ შეტევა გემს გაუბედოს?

და ყინულოვან ფართო ველზე შეხვდნენ ერთმანეთს,
ხვევნა, ამბორი დიდხანს კიდევ არ შეწყდებოდა,
რომ დროშა ტარით არ დაესოთ და ორთავ მხარეს
არ დაენახათ, ვისგანაც მათ სითბო წვდებოდა...

მათ შორის ჩადგა, თითქოს მათთან მივიდა ტოლი..
მზე ამოვიდა, ყველას გულში გაშლილა ვარდი, —
სტიქიაც შესდგა პოლარული ყინვის და თოვლის...
უცქერდნენ სურათს, — სიახლოვეს გრძნობდნენ ბელადის.

იანვარი, 1940 წ.

ოპერაციული ცნობა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

29 იანვრის განმავლობაში ფრონტზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

ჩვენი ავიაცია აწარმოებდა საზვერავ და საბრძოლო ფრენას, ამასთანავე სხვადასხვა რაიონებში ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის 7 თვითმფრინავი.

2 თებერვალს საღამოს 7 საათზე, გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის ბინაზე მოწვეულია „კომუნისტის“

საკ. კორესპონდენტთა რესპუბლიკური თათბირი

საკ. კორესპონდენტთა გამოცხადება სავალდებულოა.

გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია.

ჩეხოვის პიესების 1705 წარმოდგენა

ჩეხოვის პიესები სამხატვრო თეატრის სცენაზე

დიდი რუსი მწერლის, ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსკოვის სამხატვრო თეატრის განვითარების ისტორიასთან. ჩეხოვის პიესების თვითეული პრემიერა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე უდიდესი მოვლენა იყო რუსეთის თეატრალურ ცხოვრებაში.

თავის პირველსავე სეზონში — 1898 წლის დეკემბერს — სამხატვრო თეატრმა დადგა პიესა „მეთოთოვლია". ამ პიესის დადგმამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა მაშინ თეატრის შემოქმედებითი სახე.

ჩეხოვის დრამატურგია მტკიცედ შევიდა თეატრის რეპერტუარში. 1899 წელს დაიდგა პიესა „ძია ვანო", 1901 წელს — „სამი და", 1904 წელს — „ალუბლის ბაღი" და „ივანოვი", აგრეთვე სპექტაკლი, რომელიც შედგენილი იყო ჩეხოვის მოთხრობების — „ბოროტმოქმედის", „ქირურგიის" და „უნტერ პრიშიბეევის" მინიატიურულ ინსცენირებებისგან.

ჩეხოვის პიესები სამხატვრო თეატრის სცენაზე 1705-ჯერ იყო ნაჩვენები. ეს პიესები დაახლოებით ორმა მილიონმა მაყურებელმა ნახა. 1904 წლიდან მუდმივად იდგმება თეატრში პიესა „ალუბლის ბაღი": 30 იანვარს ეს პიესა მე-802-ჯერ დაიდგა. საიუბილეო წარმოდგენაში, რომლითაც სამხატვრო თეატრი აღნიშნავს ა. პ. ჩეხოვის დაბადების 80 წლისთავს, მე-802-ჯერ გამოდის რანევსკაიას როლში სსრ კავშირის სახალხო მსახიობი ო. ლ. ნიპერ-ჩეხოვა.

ამჟამად სამხატვრო თეატრი კვლავ დაუბრუნდა ჩეხოვის დრამატურგიას. მალე დაიმთავრდება პიესა „სამი დის" ახალი დადგმა.

სამხატვრო თეატრის მუზეუმში ცოტა როდია ისეთი მასალა, რომელიც ახასიათებს ჩეხოვის შემოქმედებითს მეგობრობას თეატრთან. აქ ინახება პიესა „სამი დის" ხელნაწერი. მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენენ პიესა „სამი დის" და „მეთოვლიას" სარეჟისორო ეგზემპლარები, რომლებიც კ. ს. სტანისლავსკის ეკუთვნოდა, და პიესა „ივანოვის" სარეჟისორო ეგზემპლარი, რომელზედაც მუშაობდა ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო. მუზეუმის ექსპონატებს შორის არის ოქროს პატარა, ლამაზი ყუტონი, ერთი იმ ყუტონთაგანი, რომელიც ა. პ. ჩეხოვმა აჩუქა წარმოდგენა „მეთოვლიასა" და „ძია ვანოს" ყველა მონაწილეს.

(საკადესი).

ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგებისათვის

ქუჩაში ფეხით სიარულისა და ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგების საკითხს მარტო მილიციაც ვერ გადასწყვეტს, თუ ამ საქმეში შეგნებული და აქტიური მონაწილეობა არ მიიღეს თვით მოქალაქეებმა.

ქალაქ თბილისის თითქმის ყველა მაგისტრალურ ქუჩაში დაწესებულია და სათანადოდ გაფორმებულია გადასასვლელი ადგილები ფეხით მოსიარულეთათვის შუცხაზებისა და სპეციალური შუქსვეტების სახით. მთავარ გზაჯვარედინებზე მოწყობილია სამილიციო პოსტები, რომლებიც აწესრიგებენ მოძრაობას. მასობრივი ტარაქეთ გამოშვებულია პლაკატები, რომლებიც გაკრულია ტრამვაის ვაგონებში, ტროლეიბუსებში, ავტობუსებში, დაწესებულებებსა და სკოლებში და რომლებიც მოქალაქეებს მოუწოდებენ დაიცვან ქუჩაში მოძრაობის წესები.

მიუხედავად ყველა ამ ღონისძიებისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქუჩაში მოძრაობის საკითხი ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული.

ქუჩებში სიარულის დროს თვითეული ჩვენგანი თვალნათლივ შეიძლება დარწმუნდეს, რომ ბევრი არ იცავს „მარჯვენა მხარეზე" სიარულის წესს, რომ მრავალი ადამიანი ქუჩაზე გადასვლის დროს გვერდს უვლის დაწესებულ „გადასასვლელებს", ხოლო ზოგიერთი ცხადჰყოფს თავის „გულადობას" ან „სიმარჯვეს" და ნახეკარი მეტრის წინ გადაურბენს მოძრავ ავტომანქანებს, ტროლეიბუსს ან ტრამვაის.

უდავოა, ამ უადგილო „გულადობას" და „სიმარჯვეს" ხშირ შემთხვევაში მოსდევს სავალალო შედეგები, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს უარყოფითს გავლენას ახდენს მძღოლთა ნორმალურ მუშაობაზე.

ქუჩაში მოძრაობის წესების ზუსტად დაცვა და ამ წესების დამრღვევთა დროზე შეჩერება — ყოველი შეგნებული მოქალაქის მოვალეობა უნდა იყოს. მხოლოდ ეს დაგვეხმარება იმაში, რომ მოვაწესრიგოთ მგზავრთა ჩასხდომა ტრამვაიში, ტროლეიბუსებში და ავტობუსებში.

უკანასკნელ ხანებში გახშირდა შემთხვევები, როდესაც ტრამვაის ვაგონებს გარედან მრავალი ხალხი ჩამოეკიდება ხოლმე. ეს, რასაკვირველია, უარყოფითად ახასიათებს როგორც ტრამვაელთა, ისე მილიციის მუშაობას.

ის ფაქტი, რომ 1939 წლის განმავლობაში ყველა შემთხვევის 61 პროცენტი მოხდა თვით მოქალაქეთა მიზეზით, მოწმობს იმას, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გავშალოთ მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოქალაქეთა შორის და პირველ რიგში მოსწავლეებსა და არაორგანიზებულ მოსახლეობაში.

ტრამვაის ნორმალურ მუშაობაში მცირე ბოროტებას როდი წარმოადგენს ვაგონების ხშირი შესვლა პარკში და ტროლეიბუსის საჰაერო ქსელის დაზიანება.

ამ ბოროტებასთან ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ხელმძღვანელებმა უნდა აწარმოონ დაუნდობელი ბრძოლა ვაგონების, საჰაერო ქსელის რემონტის მოწესრიგებით და ამით თავიდან აიცილონ როგორც ჰარკში ვაგონების განმეორებითი შესვლა, ისე ტროლეიბუსის საჰაერო ქსელის დაზიანება.

ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ხელმძღვანელებმა და ტრამვაის მთელმა კოლექტივმა უნდა მიაღწიონ მგზავრთა კულტურულ მომსახურებას.

არის ფაქტები, როდესაც ვატმანები ვაგონებს აჩერებენ დაწესებულ გაჩერებამდე ან გაჩერების იქით. ბევრმა კონდუქტორმა თავი დაანება სიგნალების მიცემას ვაგონების დაძვრის წინ.

რატომღაც ზოგიერთი ვატმანი არ იძლევა ზარს ვაგონის დაძვრის წინ, არ იცავს დადგენილ წესებს თავის სამუშაო ადგილზე, ელაპარაკება წინა ბაქანზე მდგომ მოქალაქეებს, და ყოველივე ეს საბოლოო ანგარიშით წარმოადგენს მოძრაობის წესების უხეშ დარღვევას.

ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ხელმძღვანელებმა და ყველა ეს ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ ლიკვიდირებულ უნდა იქნას.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ აგრეთვე საავტომობილო და სატვირთო ტრანსპორტის მოძრაობის წესების ხშირ დარღვევას.

ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობას აქვს სატრანსპორტო ერთეულების — ტრამვაის ვაგონების, ტროლეიბუსების, ავტობუსების საკმაო რაოდენობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს ტრანსპორტი უფრო კულტურულად მოემსახუროს თბილისის მრავალრიცხოვან მოსახლეობას.

ქალაქის ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგება არა მარტო ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს კოლექტივისა და მილიციის, არამედ ქალაქ თბილისის მთელი მოსახლეობის საქმეა.

ვ. სალაძე

მწვრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და კომუნალური განყოფილების გამგე.

სუბსტრატოსფასის სიმაღლეზე გაფრენა

28 იანვარს 14 საათსა და 37 წუთზე სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ცალკეული ჰაერსანაოსნო ჯგუფის მოედნიდან სიმაღლეზე გაფრენა მოახდინა სუბსტრატოსტატმა „სსსრ ვრ-177", რომლის მოცულობა 2.200 კუბმეტრს უდრის. სუბსტრატოსტატის ღია გონდოლში იმყოფებოდნენ მეთაური ამხ. ბ. ნეველროვი და მფრინავი ამხ. ვ. დემინა.

ერთი საათის შემდეგ სუბსტრატოსტატმა 7.500 მეტრ სიმაღლეს მიაღწია. ამ სიმაღლეზე ჰაერონაოსნებმა 30 წუთი დაჰყვეს. თერმომეტრი უჩვენებდა 50 გრადუს ყინვას. გონდოლის ქვეშ ღრუბელთა მთელი ზღვა იყო, ბრწყინავდა მზე. 16 საათსა და 50 წუთზე ჰაერონაოსნები მშვიდობით დაეშვნენ ივანოვოს ოლქის სობინსკის რაიონის სოფელ იუროვის მახლობლად. (საკადესი).

სსრ კავშირის საპარაშუტო სპორტის ოსტატი

სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ახალი დებულება საპარაშუტო სპორტის ოსტატების შესახებ. ეს სახელწოდება ენიჭება სპორტსმენ-პარაშუტისტებსა და ინსტრუქტორ-პარაშუტისტებს, რომლებმაც გაიარეს საპარაშუტო მომზადების კურსი და შემდეგ პარაშუტით 100-ჯერ მაინც გადმოხტნენ თვითმფრინავიდან.

სსრ კავშირის საპარაშუტო სპორტის ოსტატის სახელწოდება ენიჭება აგრეთვე ცალკეულ პირებს პარაშუტით საექსპერიმენტო და სარეკორდო გადმოხტომებისათვის, აგრეთვე რაციონალიზაციისა და გამმაგონებლობის დარგში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, რომლებიც მიმართულია გადმოხტომის უშიშროების გადიდებისა და პარაშუტთა მატერიალური ნაწილის გაუმჯობესებისაკენ.

პარაშუტისტი ოსტატები მოვალენი არიან ჩაამარონ ნორმები ნიშნებზე — „ვორიშილოველი მსროლელი" და „მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის" (მეორე საფეხურისა).

საპარაშუტო სპორტის ოსტატებს მიეცემათ გულზე დასაბნევი ნიშანი „სსრ კავშირის საპარაშუტო სპორტის ოსტატი" და მოწმობა, ამასთან გადაეცემათ თავდაცვა - ავიაქიმის უმაღლესი ჯილდო — ნიშანი „აქტიური თავდაცვითი მუშაობისათვის". (საკადესი).

პარტიული ცხოვრება

ყოველდღიურად ვუხელმძღვანელოთ პარტიაში მიღებას

XVIII პარტიულ ყრილობაზე გაკეთებულ ისტორიულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა პარტიის შემდგომი განმტკიცების დარგში ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დაგვისახა: „სისტემატურად გავაუმჯობესოთ პარტიის შემადგენლობა, აეამაღლოთ პარტიის წევრთა შეგნებულობის დონე და ინდივიდუალური შერჩევის წესით მივიღოთ პარტიის რიგებში მხოლოდ შემოწმებული და კომუნიზმის საქმისადმი ერთგული ამხანაგები".

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან ჩვენი პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის ამ მითითებათა მტკიცედ განხორციელებისათვის. საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ პარტიის რიგებში მიიღო ლენინ-სტალინის პარტიის უსახღვროდ ერთგული ადამიანები, მუშები და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. მაგალითად, პარტიაში მიღებული არიან სტახანოველი ქალი, ორდენოსანი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი—ა. გურგენიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ამხ. მაჭაკარია და ვალენტინა აფრასიევა, სტახანოველები მ. ს. კარციკაძე და ლომთაძე, სამოსწავლო ინსტიტუტის დოცენტი ა. ჩალიშვილი, დამსახურებული მასწავლებელი ეკატერინე ეგიროვა და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიონულმა კომიტეტმა პარტიის რიგებში მიიღო კომუნიზმის დიადი საქმისადმი ერთგული ადამიანები, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან პარტიისა და ხელისუფლების დავალებათა მტკიცედ შესრულებისათვის. ესენი არიან ჩვენი საბჭოთა სოციალისტური მინდვრების სტახანოველები: ნინო ღვინიაშვილი—კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; ზინა ბოლოშვილი—ორდენოსანი მასწავლებელი, მ. ლაზარიშვილი — კომბაინერი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; იოსებ რულაშვილი — კომბაინერი ბრიგადირი, ვარვარა შახიევი — სტახანოველი კოლმეურნე, სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მონაწილე.

პარტიაში მიღების განახლების დღიდან სიღნაღის რაიონის პარტორგანიზაციების მიერ პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულია 637 კაცი. აქედან XVIII პარტყრილობის შემდეგ პარტიის წევრად მიღებულია 238.

საკ. კ. პ. (ბ) წარმოადგენს მუშათა კლასის მოწინავე ორგანიზებულ რაზმს, რომელიც თავის რიგებს ზრდის მუშათა კლასიდან, გლეხობიდან და ინტელიგენციიდან გამოსული მოწინავე ადამიანებით—კომუნიზმის მშენებლობისათვის თავდადებული ადამიანებით. მაგალითად, ჩოხატაურის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის რიგებში მიიღო მოწინავე ადამიანები: აგნესა კოლასონია — ორდენოსანი მასწავლებელი, გოგელა ცინცაძე — ორდენოსანი მასწავლებელი, ი. მექვაბიშვილი—ორდენოსანი, კ. ცენტერაძე, დარეჯან დოლიძე—ჩაის მკრეფავი სტახანოველი ქალები.

ჩოხატაურის რაიონში არიან ისეთი პირველადი პარტორგანიზაციის მდივნები, რომლებიც ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ პარტიაში ახალ წევრთა მიღებას. მაგალითად, ზემო-ფარცხნის ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის მიერ (პარტორგი—ს. ცინცაძე) მე-18 პარტყრილობის შემდეგ მიღებულია პარტიის 6 წევრი, 7 პარტწევრობის კანდიდატი. ახლად მიღებული კანდიდატები ყველა მოწინავე სტახანოველია კოლმეურნეობაში. მაგალითად, ა. ი. ჩხიკვაძე—ბრიგადირია. მას გამომუშავებული აქვს 369 შრომადღე; ეკატერინე ცინცაძე — დაწყებითი სკოლის მასწავლებელი; კ. ჩხიკვაძე—კოლმეურნე, რომელსაც გამომუშავებული აქვს 390 შრომადღე; ნადია ცინცაძე — სტახანოველი კოლმეურნე, ჩაის მკრეფავი, დაწინაურებულ იქნა სასოფლო საბჭოს ალმასკომის მდივნად; კ. ყელენტი — სტახანოველი, ჯაფოს ხელმძღვანელი (ჩაის მკრეფავი) და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მიერ პარტიის რიგებში XVIII პარტყრილობის შემდეგ 1940 წლის 1 იანვრამდე მიღებულია 451 ამხანაგი, მათ შორის პარტიის წევრობის კანდიდატებად—292 კაცი.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ 6 კოლმეურნეობასთან ჩამოყალიბდა პირველადი პარტორგანიზაცია. ამჟამად რაიონში არსებული 63 კოლმეურნეობიდან პირველადი პარტორგანიზაცია არსებობს 30 კოლმეურნეობასთან. მათ შორის ქვემო ორჯონიკიძის, თავპანტის, ნაბელავის, ზუკიცხის და გეთურის პირველადს პარტორგანიზაციებს პარტიაში მიღება არ უწარმოებიათ. არა საკმაო არის პარტიაში მიღება კოლმეურნეობის თავმჯდომარეების, ბრიგადირების, ფერმის გამგეების, ასე, მაგალითად, XVIII პარტყრილობის შემდეგ პარტიის რიგებში მიღებული კოლმეურნეობის მხოლოდ ერთი თავმჯდომარე, მაშინ, როდესაც რაიონში კოლმეურნეობის 30 თავმჯდომარე არის. რაიონში 243 კოლმეურნე ბრიგადირიდან მიღებულია 1 ბრიგადირი. მიღებულთა შორის ცოტაა აგრეთვე კოლმეურნე ქალები. XVIII პარტყრილობის შემდეგ პარტიაში მიღებულია მხოლოდ 6 კოლმეურნე ქალი.

ამას გარდა იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ პარტრაიკომმა პარტიის რიგებში მიიღო პარტიისთვის უცხო ადამიანები. მაგალითად, საქ. კ. პ.(ბ) ჩოხატაურის რაიკომის ბიუროს მიერ 1939 წლის 7 ოქტომბერს მიღებულ იქნა ივანე კალანდაძე, ერთი თვის შემდეგ კი ბიუროომ გააუქმა დადგენილება აღნიშნული პირის მიღების შესახებ. რადგან ი. კალანდაძეს მისჯილი ჰქონდა ერთი წლით იძულებითი მუშაობა ყალბი საბუთების შედგენისათვის.

ჭესენია ჩხაიძე პარტიის კანდიდატად მიიღეს 1939 წლის 7 აპრილს, 1939 წლის 25 ნოემბერს კი გაუქმებულ იქნა დადგენილება მისი მიღების შესახებ, რადგან ჩხაიძეს ბუკნარის სასოფლო საბჭოში მდივნად მუშაობის დროს გაეფლანგა 2.000 მანეთი.

რაიონში არის ისეთი პირველადი პარტორგანიზაციები, რომლებიც ერთ კრებაზე იღებენ 8-13 კაცს. მაგალითად, რაიალმასკომთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ (მდივანი—ი. ვ. გურგენიძე) ერთ კრებაზე 1939 წლის 14 ივნისს მიიღო 13 კაცი. ამავე კრებაზე განხილულ იქნა კიდევ ორი სხვა საკითხი. 1939 წლის 29 დეკემბერსაც კრებაზე ამ პარტორგანიზაციამ მიიღო 13 კაცი.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს კომუნისტებზე პარტიულ დავალებათა სწორად განაწილების საქმეს. მაგალითად, ხიდისთავის საშუალო სკოლასთან არსებულ პარტორგანიზაციაში პარტიის წევრს, სკოლის დირექტორს ა. ფოცხვერაშვილს პარტიულ დავალებად აქვს სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობა და აკადემიურ წარმატებათა მიღწევა.

ჩოხატაურის ჩაის ფაბრიკასთან არსებულ პარტორგანიზაციაში პარტკანდიდატებად მიღებულია 16 ამხანაგი, აქედან ქალი—4, კომკავშირის წევრი—9, მუშა—4, პარტიაში მიღების განახლების დღიდან XVIII პარტყრილობამდე მიღებულია პარტიის წევრად 1 ამხანაგი, ხოლო წევრობის კანდიდატად—17, აქედან ქალი —1, ამჟამად პარტორგანიზაციაში ირიცხება პარტიის 19 წევრი, ხოლო პარტიის წევრობის კანდიდატი 23. კომუნისტებს პარტიული დავალება არასწორად აქვს მიცემული. ზოგიერთს არც კი შეიძლება მიცემული დავალება პარტიულ დავალებად ჩაითვალოს. მაგალითად, გ. ვაჩეიშვილს ავალია მეხანძრეობა; შ. სიმონიშვილს — დამზადების პუნქტის გამგეს—პარტიულ დავალებად აქვს ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე სისუფთავის დაცვა; ფაბრიკის სამნეო ნაწილის გამგეს, პარტიის წევრს ამხ. გ. ჩხიკვაძეს პარტიულ დავალებად უთვლიან დანადგარების რემონტის გაკეთებას; პარტიის წევრობის კანდიდატს, სახანძრო დაცვის უფროსს მოადგილეს ამხ. აბ. ქორიძეს პარტიულ დავალებად აქვს მორიგეობის დროს დაათვალიეროს ყველა საამქრო და იქ მომუშავეებს მიუთითოს ნაკლზე.

ავიღოთ ლაგოდეხის რაიონი, რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა 1939 წლის პირველი აპრილიდან დეკემბრამდის პარტიაში პარტწევრობის კანდიდატებად მიიღეს 219 ამხანაგი, ხოლო წევრებად—161, სულ 380; მათ შორის კომკავშირელი 107, ქალი—34, მოსამსახურე — 111, კოლმეურნე—93, ეს ციფრები მოწმობენ რომ ნაკლები ყურადღება ექცევა კოლმეურნეობის თავმჯდომარეების, ფერმის გამგეების, ბრიგადირების, ტრაქტორისტებისა და კომბაინერების მიღებას პარტიაში, მაგალითად, რაიონში არსებული 68 ფერმის გამგეებიდან პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულ იქნა მხოლოდ ერთი, 282 ბრიგადირიდან 20, ტრაქტორისტი მიღებულია—6, როდესაც მტს-ში მუშაობს 99 ტრაქტორისტი. რაიონში მომუშავე 15 კომბაინერიდან არცერთი არ არის მიღებული.

XVIII პარტყრილობის შემდეგ პარტიის კანდიდატებად მიღებულ იქნა მხოლოდ 6 მუშა, მაშინ როდესაც რაიონში არის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა. მტს-ის სახელოსნო და სხვ. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია კოლმეურნე ქალთა მიღება. აღნიშნული დროის განმავლობაში მიღებულ იქნა მხოლოდ 7 კოლმეურნე ქალი, რაიონის კოლმეურნეობებში კი მუშაობს 231 სტახანოველი კოლმეურნე ქალი.

რაიონში არსებული 69 კოლმეურნეობიდან პირველადი პარტორგანიზაცია არსებობს 38-თან. აქედან 7 ჩამოყალიბდა XVIII პარტყრილობის შემდეგ, XVIII პარტყრილობის შემდეგ პარტიის წევრობის კანდიდატთა მიღება არ უწარმოებია 11 პირველადს პარტორგანიზაციას. აქედან 7 კოლმეურნეობასთან არსებული პარტორგანიზაციაა.

ლაგოდეხის რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციაც შეუმოწმებლად იღებს პარტიაში ადამიანებს და ივიწყებს ინდივიდუალური შერჩევის ნაკად პრინციპს. მაგალითად, ლაგოდეხის ტერიტორიული პარტორგანიზაციის მიერ XVIII პარტყრილობის შემდეგ მიღებულ იქნა 37 კაცი, აქედან ერთ კრებაზე 1939 წლის 2 აპრილს—9 კაცი, 1939 წ. 22 მაისს გარჩეულ იქნა მისაღებთა 7 განცხადება და ა. შ. პარტიაში მიღებისას აჩქარების შედეგად მიღებულთა შორის აღმოჩნდნენ პარტიისათვის უცხო პირები, რომლებსაც შემდეგ პარტრაიკომმა უარი უთხრა მიღებაზე.

აფენის ტერიტორიული პირველადი პარტორგანიზაციის მიერ მიღების განახლებიდან პარტიაში კანდიდატებად მიღებულ იქნა 36 ამხანაგი, ხოლო წევრებად—19 (პარტორგი—ამხ. მჭედლიშვილი). მიღებულთა შორის აღმოჩნდნენ პარტიისათვის უღირსი ადამიანები, რომელთა მიღება პარტრაიკომმა არ დაამტკიცა. ასე, მაგალითად, კაბალის საბჭოს სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მიერ 1939 წლის 31 ოქტომბერს პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულ იქნა მ. ე. ხაჩიძე, რომელიც ამჟამად მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში ყალბი საბუთების შედგენისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიღების დროს იყო პარტწესდების დამახინჯების სხვა შემთხვევებიც.

საჭიროა აღნიშნული რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა პარტიაში ახალ წევრთა მიღებისა და მიღებულთა ბოლშევიკურად აღზრდისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიაში მიღება დიდი და პასუხსაგები საქმეა. ამიტომ პარტიაში ახალწევრთა მიღების დროს მტკიცედ უნდა დავიცვათ მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის პრინციპი, პარტიაში მივიღოთ მხოლოდ შემოწმებული და ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი ერთგული ადამიანები.

დ. დოთიაშვილი
მ. ფალავანდიშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორები.

ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ, 29 იანვარი (**ტელეგრაფით**). ყვარლის რაიონმა თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა 100,1 პროცენტით შეასრულა. დამზადებულია 385.198 კილოგრამი თამბაქო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 385.000 კილოგრამისა.

გეგმის გადამეტებით დამზადებული იქნება 100 ტონა თამბაქო.

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანი ᲕᲐᲩᲐᲫᲔ
რაიალმასკომის თავმჯდომარე ᲯᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

მ. ვ. სტრეკალოვსკი

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

დიადი საბჭოთა ხალხი მხურვალედ იკრავს გულში თავის მამაცშვილებს, რომლებმაც საბჭოთა კავშირის წითელი დროშა მოდრეიფე ყინულმჭრელით გამოატარეს ჩრდილოეთის გამოუკვლეველ სივრცეებში.

„სედოვის" გმირულ დრეიფში ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ იგი ბრწყინვალედ იქნა განხორციელებული ისე, რომ წინასწარი გულმოდგინე მზადება არ ჩატარებულა. საქმის წარმატება შრომის, სწავლისა და ცხოვრების მართებულმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა. წარმატება უზრუნველჰყო კარგად დაყენებულმა პარტიულ-მასობრივმა მუშაობამ, რომელმაც მთელი კოლექტივი შეადუღაბა და არქტიკის სტიქიონთან საბრძოლველად დარაზმა.

სედოველთა გამარჯვება შემთხვევითი არ არის. იგი უაღრესად მკაფიოდ მოწმობს ბოლშევიკურ ორგანიზებულობას.

სედოველები თავიანთ გმირულ მუშაობას ეწევოდნენ მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარულისა და ხელის შეწყობის ატმოსფეროში, პარტიის, მთავრობისა და პირადად ამხანაგი სტალინის ყურადღებისა და მზრუნველობის ატმოსფეროში.

ყურადღებით ადევნებდა რა თვალყურს ხომალდის დრეიფის მიმდინარეობას, ამხანაგი სტალინი ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელებს აფრთხილებდა, რომ საჭირო იყო თავის დროზე მომზადებულიყვნენ ყინულებიდან „სედოვის" გამოსაყვანად.

სტალინის გაფრთხილებამ უზრუნველჰყო გრენლანდიის ზღვაში გასაგზავნი ექსპედიციის საფუძველიანი მომზადება. ამ ზღვის რაიონში ყინულოვანი ნაპირისა და ყინულთა პირობების გამოსარკვევად გაგზავნილ იქნა ნადირთსაჭერი გემი „მურმანეცი". ამ გემის ეკიპაჟის მიერ წარმოებული დაკვირვება შემდეგში განსაკუთრებით ძვირფასი აღმოჩნდა ყინულმჭრელ „ი. სტალინის" ეკიპაჟისათვის, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებით „სედოვის" დასახმარებლად გაგზავნა.

ექსპედიციის მომზადება ფაქტიურად ჯერ კიდევ ზაფხულში დაიწყო, როცა „სედოვი" ფრანც-იოსების მიწის ჩრდილოეთით დრეიფობდა. ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს უფროსმა საბჭოთა კავშირის გმირმა, ამხ. პაპანინმა, რომელიც მაშინ ყინულმჭრელ „ი. სტალინზე" იმყოფებოდა, ამ გემის ეკიპაჟის წინაშე ამოცანა დასახა — წინდაწინ მომზადებულიყვნენ ძნელი საზამთრო რეისისათვის.

პოლარული ნავიგაციის დამთავრების შემდეგ ყინულმჭრელი „ი. სტალინი" საკვებით მომზადებულ იქნა გრენლანდიის ზღვაში წასასვლელად. გემის მექანიზმები გულმოდგინედ შიამოწმეს და გამართეს. 15 დეკემბერს, სწორედ მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე, ყინულმჭრელი მურმანსკიდან გავიდა და „სედოვისაკენ" გაემართა.

გემის პირადი შემადგენლობა დაკომპლექტებულ იქნა გამოცდილი პოლარელი მეზღვაურებით, რომელთაც არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა არქტიკულ ლაშქრობაში. გემში ჩატვირთეს ქვანახშირისა და წყლის სრული მარაგი, სურსათ-საწოვების 9 თვის მარაგი, პოლარული საქურველი და ორი თვითმფრინავი, არქტიკაში ლაშ ფრენისათვის მომარჯვებული. ყინულმჭრელის ეკიპაჟმა გმირ „სედოველებს" ჩვენი ქვეყნის მრავალი საჩუქარიც წაუღო — ახალი კიტრი, პამიდორი, ლიმონი, მანდარინი, ახალი ხორცი, ცოცხალი ფრინველი, ჟურნალ-გაზეთების კომპლექტები, წერილები და მრავალი სხვა.

როგორც მოსალოდნელიც იყო, ბარენცის ზღვა ყინულმჭრელს სასტიკი გრიგალით შეხვდა.

დაახლოებით ექვსი დღეღამის განმავლობაში მძვინვარებდა უამინდობა. გემს ვეებერთელა ტალღები ეხეთქებოდა. გემის დახრილობა 45 გრადუსს აღწევდა. წყლის ზვირთმა მრავალადგილიანი მაშველი კატარღა მოჰგლიჯა და რამდენიმე კასრი დაამსხვრია, რომლებშიც სურსათი და საწვავი მასალა იყო. წყალი კაპიტნის ბოგას წვდებოდა, შტურმანის კაიუტის მინებს ამსხვრევდა. გემის ცურვადობის გადიდებისათვის საჭირო გახდა გემიდან დაახლოებით 500 ტონა მტკნარი წყლის ამოტუმბვა. გემის წამყვანთა მუშაობა მეტად დაძაბული იყო. ხომალდის გზა იმ რაიონებზე გადიოდა, სადაც არავითარი ორიენტირები არ მოიპოვებოდა. პოლარული ღამის უკუნნა წყვდიადმა და ქარბუქმა გემის კოორდინატების გამორკვევის საშუალებაც კი მოსპო. საფლაგმანო ხომალდმა ღირსეულად ჩააბარა ძნელი გამოცდა, ჩინებული ცურვადობა და სიმაგრე გამოიჩინა.

გზის შესამოკლებლად ხომალდმა რამდენიმედ არაჩვეულებრივი გზა აიღო — სკანდინავიის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ სანაპიროების გასწვრივ. ყინულმჭრელმა დათვის კუნძულს შემოუარა, ეგრეთწოდებული შპიცბერგენის მეჩიჩის რაიონი გაიარა, რომელიც ზღვაოსანთა შორის ცნობილია წყალტაკლობით.

გრენლანდიის ზღვა ყინულმჭრელს ტემპერატურის დაწევით შეხვდა, გრიგალი გრძელდებოდა, წყალი იყინებოდა და გემს ყინულის სქელ ჯავშნად ეკვროდა. გემის დაწევა მატულობდა. ეკიპაჟი ცულითა და ნიჩბით ამტვრევდა ყინულს და მრავალი ტონა სიმძიმისაგან ათავისუფლებდა გემს.

ერიდებოდა რა ფრთონას, კაპიტანმა ბელოუსოვმა გემი „სედოვისაკენ" წაიყვანა შპიცბერგენის დასავლეთის ნაპირების გასწვრივ. 23 დეკემბერს გემი ყინულში შევიდა. მალე მის გარშემო ცხრაბალიანი ყინულის თვალუწვდენი უდაბნო გაჩნდა. ხომალდი მძლავრ ყინულოვან მინდვრებს აპობდა და „სედოვისაკენ" მიიწევდა. შემდგომი წინსვლა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული: ქვანახშირის მარაგი ილეოდა. ამიტომ ამხ. პაპანინმა ბარენცბურგში წასვლა გადასწყვიტა; მას მგზავრობაში ჰქონდა, რომ იქ სათბობი სა და წყლის მარაგს შეივსებდა.

მაგრამ დაბუნკერება უნდა შეეწყვეტათ: „სედოვის" მდგომარეობა რთულდებოდა. მის გარშემო ყინული ამოძრავდა, ნაპრალები ჩნდებოდა, ყინული იკუმშებოდა.

ყინულმჭრელ „ი. სტალინის" ახალი შეტაკება ყინულებთან კიდევ ორჯერ გაათრიეს. გემი გზას იკაფავდა „სედოვისაკენ", რისთვისაც მიაღწევდა ყინულებს და რთულ მანევრებს აკეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში მომხდარი მუშათა საყოველთაო გაფიცვის 35 წლისთავი

რევოლუციური პროლეტარიატის ლასტიანი სულიერების ტრადიციებში

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს პირველი რევოლუციის წლებში სათავეში ედგა ლენინის საუკეთესო თანამებრძოლი, ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მარქსიზმ-ლენინიზმისა და პირველი ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ფუძემდებელი — ამხანაგი სტალინი.

ლ. პ. ბერია.

იარაღის არალეგალური საწყობი ჭიათურის რაიონში (1905 წ.)
მხატვ. გ. ნიეარაძის ნახატი.

ამხანაგი სტალინი ესაუბრება ქართველ გლეხებს (1905 წ.)
მხატვ. ა. ქუთათელაძის ნახატი

სტალინი გვრაზმავდა ჩვენ ბრძოლებისათვის

ქალაქ პეტერბურგში მომხდარმა 9 იანვრის ამბავმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის მუშებსა და მუშა-მოსამსახურეებზე. ჩვენმა მუშამ რაღაც დიდი ტკივილები იგრძნო, რომ იქ, პეტერბურგში, მისი ძმების და უმანკო ბავშვების სისხლი დაიღვარა, რომ ჯალათმა მეფემ უმოწყალოდ გაჟლიტა უდანაშაულო ხალხი. ამიტომ იყო, რომ თბილისის მუშები მყისვე ბრძოლის ველზე გავიდნენ, შურისძიების გრძნობით აღსავსენი და გამსჭვალულნი.

მშრომელი მოსახლეობა ბოლშევიკური პარტიის, ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით და მეთაურობით დიდი ბრძოლისათვის ემზადებოდა თბილისში. მენშევიკები მუდამ იმას ჩასძახოდნენ მუშებს, რომ საჭირო არ არის იარაღით ხელში გამოსვლა ქუჩაში, რომ 1905 წლის რევოლუციას ბურჟუაზია უნდა ედგეს სათავეში. მათ არ სწამდათ პროლეტარიატის ჰეგემონია 1905 წლის რევოლუციაში, მათ არ სურდათ რევოლუციის ბოლომდე გამარჯვება.

ამხანაგი სტალინი მენშევიკებთან ბრძოლას თბილისში უდიდეს ყურადღებას აქცევდა და 1905 წელს ყველგან — საჯარო კრებებზე, მიტინგებზე თუ დისკუსიებში დაუნდობლად ააშკარავებდა მათ „საქმეთა საგმიროთა“.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა ამიერ-კავკასიის ყველა სამრეწველო რაიონში: ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში, სამტრედიაში, ფოთში და სხვ. გაშალეს დიდი მუშაობა მენშევიზმის გამოსააშკარავებლად და გასანადგურებლად.

დიდი დისკუსიები იმართება თბილისში რკინიგზის სახელოსნოების, დეპოს, ადელხანოვის ქარხნის, თამბაქოს ფაბრიკების სოციალ-დემოკრატ მუშებს შორის. ამ დისკუსიებში ამხანაგი სტალინი გამოდის და ამხელს მენშევიზმის გამცემლობას.

წინაღმდეგ მენშევიკების გამცემლური მოქმედებისა, ბოლშევიკები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მოუწოდებენ მუშებსა და გლეხებს საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისაკენ, და ამზადებენ მათ ამისათვის. ამხანაგი სტალინი თავის იმდროინდელ ბროშურებში, სტატიებში, პროკლამაციებში და გამოსვლებში იცავდა ლენინურ იდეებს მენშევიზმის შემოტევისაგან, აიარაღებდა მშრომელებს რევოლუციის კანონების ცოდნით.

გამოცხადდა თუ არა ოქტომბრის მანიფესტი, თბილისში გამართულ მიტინგებზე მენშევიკები ხმამაღლა გაიძახოდნენ, რომ ამ მანიფესტით რუსეთში იწყება ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური წყობილების ეპოქაო. „ამიერიდან თვითმპყრობელობა აღარ არსებობს, თვითმპყრობელობა მოკვდა“ — ასე ამშვიდებდნენ მენშევიკები აბობოქრებულ ზღვა ხალხს, ასე ეწოდნენ ისინი ბრძოლებიდან უკან მუშებსა და გლეხებს.

ამხანაგი სტალინი ამხელს მენშევიკების გამცემლურ პოლიტიკას. მანიფესტის გამოცხადების დღეს ნაძალადევში მუშათა მიტინგზე ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისათვის გვესაჭიროება სამი რამ... პირველი, ჩვენ გვესაჭიროება შეიარაღება, მეორე — შეიარაღება, მესამე—კიდევ და კიდევ შეიარაღება“.

მენშევიკები ისტორიამ გასწირა, სამუდამოდ დაასამარა. თბილისში კი აღიმართა ლენინ-სტალინის ძღვამოსილი წითელი დროშა, გაიმარჯვა ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, რისთვისაც ასე თავგამოდებით იბრძოდა ამხანაგი სტალინი.

გ. პარკაძე

ამხანაგი სტალინი ჭიათურის პარტიზანთა შორის (1905 წ.) მხატ. ს. ნადარეიშვილის ნახატი.

რევოლუციური წარსულიდან

(გაზ. „ვპერიოდისა“ და „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცლების მიხედვით)

ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყების მძლავრ ტალღას, რომელიც ასე გრანდიოზულად გაიშალა საერთოდ ამიერ-კავკასიაში და კერძოდ თბილისში, იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ლენინი და გაზეთი „ვპერიოდი“, რომელსაც თვით ლენინი ხელმძღვანელობდა.

თბილისის 1905 წლის 18 იანვრის გაფიცვა დაიწყო არა მოულოდნელად, არა სტიქიურად, არამედ ორგანიზებულად, ეს გაფიცვა წინასწარ მომზადებული იყო ბოლშევიკების მიერ, რომლებსაც ამიერ-კავკასიაში ლენინურ-ისკრულ სულისკვეთებით ზრდიდა დიდი სტალინი. სწორედ ამიტომ იყო, რომ დაიწყო თუ არა თბილისში გაფიცვები, მას დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ ამიერ-კავკასიის მუშები და გლეხები. მთელი ამიერ-კავკასია ფეხზე დადგა, იგი აჯანყების ალში გაეხვია.

ის დიდი მუშაობა, რომელსაც უწეოდნენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები სტალინის მეთაურობით რევოლუციის პირველ პერიოდში ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ფართო გამოხმაურებას და შეფასებას პოულობს გაზეთ „ვპერიოდის“ ფურცლებზე, რომელიც საზღვარგარეთ იბეჭდებოდა.

გაზეთ „ვპერიოდის“ მერვე ნომერში მოთავსებულია რამდენიმე კორესპონდენცია ამიერ-კავკასიის მდგომარეობის შესახებ. „ამიერ-კავკასიაში ხდება რაღაც არაჩვეულებრივი რამ, — ნათქვამია კორესპონდენციაში, — თბილისის ყველა მუშა გაიფიცა, ახლა არეულობა დაიწყო უმაღლეს სასწავლებლებშიც“. შემდეგ კორესპონდენციაში აღწერილია ის ამბები, რომლებიც დაკავშირებული იყო თბილისში გამართულ გრანდიოზულ დემონსტრაციასთან. თბილისის ამბებს მთელი ამიერ-კავკასია გამოეხმაურა. ამის შესახებ აუწყებს თავის მკითხველებს გაზეთი „ვპერიოდი“. ქუთაისში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, დემონსტრანტები ცდილობდნენ დაეპყროთ ციხე. სამტრედიაში მუშებმა აჰყარეს რკინიგზის ლიანდაგი. გურიაში ოფიციალური ხელისუფლება უძლური გახდა და ფაქტიურად უარყოფილიცაა. პროვინციებს სახალხო კომიტეტები მართავენ.

თბილისის გაფიცვებმა ფეხზე დააყენა მთელი ამიერ-კავკასია, ბაქოდან ბათუმამდე. მან მეტად გრანდიოზული ხასიათი მიიღო. ამიერ-კავკასიის მუშებისა და გლეხების მედგარ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ ხელმძღვანელობდა დიდი სტალინი. ამ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელს რუსეთში რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის. ამიტომ აძლევდა ლენინი ასეთ დიდ მნიშვნელობას ამიერ-კავკასიაში მომხდარ რევოლუციას. ლენინი სწერდა: „თვითმპყრობელობის გამარჯვება კავკასიის ხალხთა აჯანყებაზე... მეტად საზარალო და მავნებელი იქნება თავისი შედეგით მთელი რუსეთის საერთო აჯანყებისათვის“. თვით პარტიის მესამე ყრილობაზე სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა ამიერ-კავკასიაში მომხდარი ამბები.

ლენინურ შეფასებას აძლევდა ამიერ-კავკასიის ამბებს საერთოდ, კერძოდ კი თბილისის გაფიცვას გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი. თბილისის ამბებთან დაკავშირებით „პროლეტარიატის ბრძოლის“ მეცხრე ნომერში მოთავსებულია ვრცელი სტატია, სადაც გარჩეულია თბილისის გაფიცვები, გარკვეულია მათი წარმომშობი მიზეზები და დასახულია ამოცანები მომავალი ბრძოლებისათვის. გამარჯვების რწმენით აღსავსე სიტყვებით მთავრდება სტატია: „შორს არ არის უკანასკნელი, თავდაუზოგავი იერიშის წამიც, და კავკასიის პროლეტარიატი შესაფერ ალაგს დაიპერს იერიშით მიმავალ რაზმებში“.

„პროლეტარიატის ბრძოლის“ ამავე ნომერში მოთავსებულია ამხანაგ სტალინის სტატია—„თბილისის უმცირესობის ახალი აღმოჩენანი“. სტალინი ამხელს მენშევიკების მოღალატურ პოლიტიკას, მათს უპრინციპობას. მენშევიკები ჰქადაგებდნენ „საერთო ნიადაგის თეორიას“, ისინი ეძებდნენ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერთად თანამშრომლობის გზებს. მენშევიკები ყველას ულებდნენ პარტიის კარს და იმით ძირს უთხრიდნენ მის ძლიერებას და ხელმძღვანელობას რევოლუციაში. მენშევიკები ალმაცერად უყურებდნენ რევოლუციას, არ სწამდათ პროლეტარიატის ჰეგემონია. სტალინი ამ სტატიაში იძლევა მენშევიკების გამანადგურებელ კრიტიკას, მეცნიერულად ასაბუთებს რევოლუციაში ბოლშევიკური ლოზუნგების სისწორეს.

ლენინი და სტალინი, ბოლშევიკები იძლეოდნენ რუსეთის პირველი რევოლუციის ერთადერთ სწორ, მეცნიერულ შეფასებას. დღეს მთელი მსოფლიო ხედავს, რომ სწორედ ისე გამოვიდა, როგორც ამბობდა ლენინ-სტალინის დიადი პარტია, დღეს მთელი მსოფლიო ხედავს, რომ სიხსლს, რომელიც წარსულში დაიღვარა, ფუჭად არ ჩაუვლია, მან თავის ნაყოფი გამოიღო...

კ. ძოწაძე

სიცოცხლე ძვირფასია...

„მხოლოდ მძიმე ჩაქუჩების რახუნი და მაშინების გრიალი აყრუებს ჩვენს სმენას! მაგრამ კმარა! პირუტყვული ცხოვრება! ჩვენ გვინდა ადამიანური ცხოვრება. ჩვენ გვინდა შეგნება,— ჯანმრთელობა ჩვენთვისაც სიცოცხლე ჩვენთვისაც ძვირფასია!“...

ასე იძახდნენ მაშინ თბილისის რკინიგზის სახელოსნოს მუშები. ეს სტრიქონები ამოწერილია სტალინური პროკლამაციიდან, რომელიც 1904 წელს ავლაბრის არალეგალური სტამბის ჯურღმულიდან ქარაშხალივით ამოვარდა და მთელს ამიერ - კავკასიას ბრძოლის ყიჟინად მოედო. არც თუ ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც აქ, აი ამ სახელოსნოებში, დღეს როგორ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა ეწოდება, გაისმა დიდი ლენინის საუკეთესო მოწაფის მძლეთა-მძლე ხმა, გრიგალად მოედო ხალხთა საპყრობილეს და კარიბჭეები შეულეწა რომანოვების სასახლეს.

დღეს აქ აღმართულ მარმარილოს ობელისკს სიამაყის გრძნობით შეჰყურებს ამ ოთხიათასიანი კოლექტივის თვითეული წევრი. ეს ობელისკი თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებს აუგიათ იმ ადამიანის პატივსაცემად, რომელმაც მათ მტარვალი „ხაზეინები“ თავიდან მოაშორა, 14-საათიანი სამუშაო დღე გაუნახევრა, პირუტყვული მდგომარეობიდან გამოიყვანა და ნამდვილი ადამიანური, ბედნიერი და საამური ცხოვრება შეუქმნა.

დიდი სტალინის სახელს ატარებს ეს ქარხანა. დიდი სტალინის მიერ გაკაფული გზით, დიდი ბელადის სიყვარულით, სტალინური კონსტიტუციით შთაგონებული იბრძვის ეს სახელოვანი კოლექტივი იმისათვის, რომ სოციალიზმის ქვეყანას მისცეს მეტი ორთქლმავალი, მეტი ვაგონი.

1500-ზე მეტი სტახანოველი, 1700-ზე მეტი დამკვრელი, 12 მილიანად სტახანოვური ბრიგადა, 400-მდე საბჭოთა ინჟინერი და ტექნიკოსი მუშაობს დღეს საამური შრომით იმ ადგილას, სადაც შავბნელ წარსულში მუშების დრტვინვა და კვნესა ისმოდა.

„ხაზეინები“ აღარ არიან. ამ უზარმაზარ ქარხანას შესანიშნავად უძღვება გუშინდელი მეეზოე, ყოფილი მჭედელი, ამჟამად ლენინის ორდენოსანი, სოციალიზმის ქვეყნის პარლამენტის დეპუტატი ამხ. დ. ჭიჭინაძე.

ქარხნის კოლექტივი ყოველწლიურად ბრწყინვალედ ასრულებს პარტიისა და ხელისუფლების ოავალებას. გასული წლის გეგმა მან 8 პროცენტის გადამეტებით შეასრულა და სოციალისტური ქვეყნის მძლავრ ტრანსპორტს დიდძალი ორთქლმავალი და ვაგონი შეჰმატა.

სტახანოვური შრომა ბედნიერი, შეძლებული ცხოვრების უშრეტი წყაროა. თვითმპყრობელობის დროს თბილისის რკინიგზის სახელოსნოს მუშის ხელფასი ექვს აბაზს არ აღემატებოდა დღეში. დღეს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველებს ათასმანეთობით შოიქვთ ყოველთვიურად თავიანთ ბედნიერ ოჯახში. ეშვიათი როდია ისეთი თვე, როცა, მაგალითად, სტახანოველ მ. გეწაძის თვიური გამომუშავება 2000 მანეთს გადააჭარბებს.

„სიცოცხლე ჩვენთვისაც ძვირფასია“ — გულისწყრომით იძახდნენ აქ რამ. ენიმე ათეული წლ. წინ ძონძებში გახვეული თბილისელი პროლეტარები და კაპიტალიზმის დამხობისათვის ბრძოლისაკენ გვიხმობდნენ.

ნამდვილი, ძვირფასი სიცოცხლე კი ყოველი მუშისა და მშრომელისათვის დღეს გარანტირებულია უდიდესი ქარტიით—სტალინური კონსტიტუციით.

გ. გიორგაძე

ა. გერაძე

9 იანვრის გამოძახილი თბილისში

რუსეთში პირველი რევოლუციის დასაწყისად 1905 წლის 9 იანვარი ითვლება. ეს ის დღე იყო, როდესაც თვითმპყრობელმა მეფემ მუშების სისხლით შეღება პეტერბურგის ქუჩები. ამ საშინელმა ამბებმა აიაზვიოთა მუშებისა და გლეხების რევოლუციური მღელვარება, რომლებიც მოითხოვდნენ თვითმპყრობელობის ძირფესვიანად მოსპობას.

პოლიტიკური გაფიცვები მთელ ამიერ-კავკასიას მოედო. მუშათა და გლეხთა მღელვარებამ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება შეგნებული ჯარისკაცები, მეზღვაურები და ინტელიგენცია. 1905 წლის 9 იანვრის ამბებს წინ უძღოდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარებული ბაქოს მუშების გრანდიოზული გაფიცვა 1904 წ. დეკემბერში, რაც მუშების გამარჯვებით დამთავრდა. ბაქოს გაფიცვა შეიქმნა „მთელ რუსეთში იანვართებერვლის განთქმულ გამოსვლათა სიგნალი“ **(სტალინი)** [1].

1905 წლის 9 იანვრის სისხლიანმა დღეებმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ყველა კუთხეში. მთელს ამიერ-კავკასიაში 1905 წ. რევოლუციის გრანდიოზული გაშლის მიზეზს წარმოადგენდა მშრომელთა მასების მეტად ძძიმე ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა. ამას ემატებოდა ამიერ-კავკასიის ხალხთა ბარბაროსული ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა. ამხანაგ სტალინის მიერ დაწერილი ბროშურები, პროკლამაციები და სტატიები რევოლუციურად წრთვნიდა მუშებს და გლეხებს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, მისი დამხობისათვის.

თბილისში 18 (31) იანვარს მოხდა პროლეტარიატის საყოველთაო გაფიცვა. გაიფიცნენ ამიერ-კავკასიის რკინიგზის სახელოსნოების, შექანიკური ქარხნების და კერძო სტამბების მუშები. გაფიცულთა რიცხვმა 3000 მიაღწია. ამ გაფიცვამ დასაბამი მისცა საყოველთაო გაფიცვების ხანას საქართველოში.

როგორც თბილისის კომიტეტის ერთერთ სტალინურ პროკლამაციაშია ნათქვამი, რკინიგზის სახელოსნოებში კაპიტალისტების ცბიერებასა და ძალმომრეობას საზღვარი არ ჰქონდა. კანონით, ე. ი. ქაღალდზე შემოღებული იყო 10-საათიანი სამუშაო დღე, ნამდვილად კი მუშები ხშირად 13-15 საათს მუშაობდნენ. სამუშაო დღეს ადიდებდნენ საღამოს მუშაობით. როგორც ცნობილია, საღამოს სამუშაოების წინააღმდეგ რკინიგზის სახელოსნოებს. და დეპოს მუშები დიდიხნით ადრე იბრძოდნენ. 1900 წლის გაფიცვის ერთერთი მთავარი საბაბი იყო მოთხოვნა საღამოს სამუშაოების მოსპობისა. გაფიცვის წინ რკინიგზის სახელოსნოების სახარატო საამქროს მუშებმა ადმინისტრაციის წინაშე დასვეს საკითხი—„ბაფხულის სიცხეების გამო გაეუქმებინათ საღამოს სამუშაოები, თუნდაც დროებით. რაზედაც ადმინისტრაციამ კატეგორიული უარით უპასუხა.

მეტად მცირე იყო მუშების ხელფასიც. მათ სახელოსნოს მოშხამულ ატმოსფერონში უხდებოდათ მუშაობა. „ასეთ უფერულ ცხოვრებაში გადის ჩვენი დღეები, — ნათქვამი იყო ერთერთ სტალინურ პროკლამაციაში. — მხოლოდ მძიმე ჩაქუჩების რახუნი და მაშინების გრიალი აყრუებს ჩვენს სმენას! მაგრამ კმარა! პირუტყვული ცხოვრება! ჩვენ გვინდა ადამიანური ცხოვრება. ჩვენ გვინდა შეგნება, — ჯანმრთელობა ჩვენთვისაც საჭიროა, სიცოცხლე ჩვენთვისაც ძვირფასია!“. [2])

თბილისის ქუჩებში გამოსულ გაფიცულ პროლეტარიატს გზა გადაუღობეს ჯარის ნაწილებმა. საალყო წესებს დაემატა უთანასწორო ბრძოლა მეფის შეიარაღებულ ჯარებსა და უიარაღო მუშებს შორის.

თბილისის პროლეტარიატი, რომელსაც ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუძემდებელი ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, დარწმუნებული იყო იმაში, რომ თვითმპყრობელობას აღარ ჰქონდა თავისი ძალების იმედი. რუსეთ-იაპონიის ომმა ფართო მასებში გამოააშკარავა ცარიზმის პოლიტიკური სისტემის მთელი სიდამშვლე, ხოლო 9 იანვრის დღეს დახვრეტილი იქნა მუშათა რწმენა მეფისადმი.

გაფიცული პროლეტარიატის რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ყველაზე ჩამორჩენილმა ფენებმაც კი გაიგეს, თუ რა ყოფილა პროლეტარიატის ერთიანობის ძალა.

19 იანვარს გაფიცულთა რიცხვს მიემატა ადელხანოვის, თამბაქოს ფაბრიკა „მირ“-ის მუშები და თამამშვილის ქარვასლის ყველა ნოჭრები. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო სულ 4000-მდე კაცმა.

20 იანვრისათვის მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. მას შეუერთდნენ ბოზარჯიანის, ტოლეს, თაროვის ქარხნის მუშები.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით 23 იანვარს მთავრობის საპროტესტოდ გაიმართა მთელი თბილისის პროლეტარიატის მანიფესტაცია, რომელიც დაიწყო ყოფილი სალდათის ბაზრიდან და გაემართა ყოფილი ერევნის მოედნით გოლოვინის პროსპექტის მიმართულებით. აფრიალდა ჰაერში წითელი დროშა. ბოლშევიკ-აგიტატორების საშუალებით დიდი რაოდენობით გავრცელდა ბოლშევიკური პროკლამაციები. პროკლამაციების ნაწილი ხელში ჩაიგდო პოლიციამ. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა მანიფესტანტებსა და ჯარის ნაწილებს შორის. პოლიციელები მისცვივდნენ მანიფესტანტებს დროშის წასართმევად.

25 იანვარს გაიფიცნენ ფარმაცევტები და თბილისის აფთიაქის მოწაფეები. მათ გაფიცვას მოჰყვა მეყასბეების და ბანოს მომუშავეების გაფიცვები.

თბილისის პროლეტარიატის საყოველთაო გაფიცვა გაგრძელდა ორ კვირას, რამაც დასაბამი მისცა საყოველთაო გაფიცვების ხანას: ბათუმში, ჭიათურაში, ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში და სხვა ქალაქებში. დიდი გაფიცვები მოეწყო ბათუმში. გაიფიცნენ როტშილდის და მანთაშევის ქარხნების მუშები. მუშებმა ააფრიალეს წითელი დროშა. რევოლუციური წარწერით, გაემართენ რკინიგზის დეპოსაკენ და გზაზე ფანტავდნენ ბოლშევიკურ პროკლამაციებს.

25 იანვრისათვის ბათუმის ყველა ქარხანაში შესწყდა მუშაობა. სავაჭრო დუქნები გაღებულ იქნა მხოლოდ პოლიციის ზეგავლენით.

21 იანვარს სამტრედიის რკინიგზის სადგურთან შეგროვდა 300-მდე მუშა, რომლებიც შეცვივდნენ სადგურში. მათ რკინიგზის ბევრი მუშა შეიერთეს, გაემართნენ ბაზრისაკენ და მთელი სავაჭროები დახურეს. მუშებს შეუერთდა გლეხობაც და მოხდა პოლიციასთან შეტაკება, დემონსტრანტებმა მოჰკლეს მამასახლისი, აჰყარეს რკინიგზის ლიანდაგი ბათუმის მიმართულებით. 22 იანვარს დღის პირველ საათზე ლიანდაგიდან გადასცდა სამხედრო მატარებელი, რომელსაც ბათუმში მიჰყავდა ჯარის ნაწილები.

დიდი გაფიცვები მოხდა ქალაქ ფოთის ნავსადგურში. 22 იანვარს ნავსადგურის მუშებს შეუერთდნენ ქალაქის სხვა მუშებიც.

19 იანვარს ქუთაისის ქუჩებში ადგილი ჰქონდა მუშების გამოსვლებს.

25 იანვარს გაიფიცნენ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშები. 26 იანვარს გაფიცვას უერთდებიან ჭიათურის მაღაროების მუშები.

რევოლუციური მოძრაობის დიდი აღმავლობა იყო ამიერ-კავკასიის სოფლებში, რასაც ხშირად შედეგად მოსდევდა მემამულეთა კარმიდამოს გადაწვა-განადგურება.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში გლეხთა დიდი შეიარაღებული აჯანყებები ხდებოდა (ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, გორის, დუშეთის, თელავის და სხვ.). ამიერ-კავკასიის სოფლებში მძვინვარებდა ბატონყმობის ნაშთები, რაც იძულებულს ხდიდა სოფელს ქალაქთან ერთად ებრძოლა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ.

„მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წამყვან, ხელმძღვანელ ძალას ამიერ-კავკასიაში წარმოადგენდა ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომლის სათავეში იდგა ლენინის ყველაზე უფრო ერთგული და თანმიმდევარი თანამებრძოლი—ამხანაგი სტალინი“. [3])

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით სასტიკად ანადგურებდნენ რევოლუციის მოღალატე წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, — მენშევიკებს, დაშნაკებს, ფედერალისტებს და სხვ., რომლებიც ოპორტუნისტურად ალმოჩნდნენ მასებისაგან. ისინი გაფიცულ მუშებს სთხოვდნენ თავი დაენებებინათ გაფიცვისათვის და შერიგებოდნენ მეფის მთავრობას.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები სტალინის მეთაურობით რევოლუციის დასაწყისიდანვე იცავდნენ და ატარებდნენ რევოლუციის ლენინ-სტალინის **ტაქტიკას**, ისინი იბრძოდნენ მუშათა და გლეხთა შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციისათვის, რევოლუციის გამარჯვებისათვის, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარებისათვის. ამ პერიოდს ეკუთვნის ამხანაგ სტალინის მთელი რიგი თეორიული ნაშრომები, რომლებშიაც ის იცავს და ანვითარებს მარქსისტულ მოძღვრებას დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლების შესახებ, კლასიკური სიღრმით ამუშავებს სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის განდუვალობის საკითხს და მებრძოლი პროლეტარული პარტიის აუცილებლობის საკითხს.

9 იანვრის ამბებთან დაკავშირებით პროლეტარიატის ერთსულოვანმა გამოსვლებმა რუსეთში და სხვა მხარეებში მეფე აიძულა უკან დაეხია. იგი შეეცადა დაპირებებით შეეჩერებინა რევოლუციურად განწყობილ მუშათა და გლეხთა მოძრაობა. ცარიზმმ ხელისუფლების ოფიციალური ორგანოს გაზ. „კავკაზის“ საშუალებით დაადგა მუშების დარწმუნების გზას, აღუთქვამდა მათ, რომ უკეთეს პირობებს შეუქმნიდა და გამოსცემდა ვითომ მუშების სასარგებლო კანონებს. მეფე აიძულა პროლეტარიატის ერთიანობის ძალამ, რომელმაც შეარყია მეფის ტახტი. თვითმპყრობელობა გაიბზარა, მთავრობას აღარ შესწევდა უნარი ძველი სასჯელებით, დაპატიმრებებით, გადასახლებით, ეგზეკუციით, ხიშტებითა და მათრახებით [illegible] ნარევინა აბობოქრებული ზღვა ხალხი.

მეფემ ფორმალური კომისიაც კი გამოჰყო მუშების უკმაყოფილების გამოსარკვევად, რათა ზომები მიეღო მათი „პირობების გაუმჯობესებისათვის“. მეფე თავის ბრძანებაში მთელი რიგი საკითხების მოგვარებას დაპირდა ხალხს, მაგრამ ხალხის თვალში მეფეს და მის მთავრობას ნდობა დაკარგული ჰქონდათ.

ამხანაგი სტალინი თავის ცნობილ პროკლამაციაში — „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!“—სწერდა: „გესმით ამხანაგებო? ის გვთხოვს დავივიწყოთ მათრახის წილი და ტყვიის ზუზუნი, ასობით დახოცილი გმირი - ამხანაგები, მათი სახელოვანი აჩრდილები, რომლებიც ბოროგავენ ჩვენს გარშემო და ჩაგვჩურჩულებენ: „შური იძიეთო!“ თვითმპყრობელობა უსირცხვილოდ გვიწვდის სისხლიან ხელებს და ვვირჩევს შერიგებას! მან გამოაქვეყნა რაღაც „უმაღლესი ბრძანებულება“, სადაც რაღაც „თავისუფლებას“ გვპირდება... როდესაც მეფის თვითმპყრობელობა იროყვა, ჩვენი ვალია ვემზადოთ გადამწყვეტი შეტევისათვის! დროა შური ვიძიოთ!“ [4]).

ამხანაგ სტალინის მიერ მოწყობილმა თბილისის საყოველთაო გაფიცვამ პოლიტიკურად გამოაწრთო პროლეტარიატი და რევოლუციური გლეხობა, დარაზმა ისინი ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად სოციალისტური რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის.

---

[1]) ციტირებულია **ლ. პ. ბერიას** შრომიდან — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 53.

[2]) იხ. კრებული „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წ. წ“. გვ. 55.

[3]) **ლ. ბერია** — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 54.

[4]) იხ. კრებული — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წ. წ.“ გვ. 86-89.

საბჭოთა მეცნიერების დელეგაცია ბერლინში

ბერლინი, 28 იანვარი (საკდესი). გუშინ გერმანიის განათლების სამინისტროს სტატს-მდივანმა ცშინჩმა სადილი გამართა ბრატისლავიდან აქ ჩამოსულ საბჭოთა მეცნიერების დელეგაციის პატივსაცემად. დელეგაციაში შედიან სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კაფტანოვი და პროფესორები: ვილენსკი, ნოვიკოვი, ეგოლინი და დეინეკი. სადილს დაესწრო სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში ამხ. შკვარცევი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი ბ-ნი კეპლერი, განათლების სამინისტროს უმაღლესი სკოლის განყოფილების ხელმძღვანელი ბ-ნი მენცელი, აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი კურციუსი, საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის განყოფილების გამგე ბ-ნი- ტვარდოვსკი და მთელი რიგი სხვა ცნობილი გერმანელი მეცნიერი. საღამოს საბჭოთა მეცნიერები, სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ამხ. შკვარცევთან ერთად და გერმანიის ოფიციალურ პირთა თანხლებით, დაესწრნენ სახელმწიფო ოპერის თეატრის სპექტაკლს. საღამოს 10 საათზე დელეგაცია ბერლინიდან მოსკოვს გაემგზავრა. სტუმრები ვაგზალზე გააცილეს სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გერმანიაში ამხ. შკვარცევმა, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ დერნბერგმა და გერმანიის მთავრობისა და კულტურულ დაწესებულებათა მრავალმა წარმომადგენელმა.

ანდერსენ-ნექსე ამხილებს საფრანგეთის რეაქციას

სტოკჰოლმი, 28 იანვარი (საკდესი). გაზეთი „ნიუ დაგის“ დღეს გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში ცნობილი დანიელი მწერალი მარტინ ანდერსენ-ნექსე სწერს საფრანგეთის რეაქციის გალაშქრებაზე კულტურისა და მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ. საფრანგეთის ხელისუფლებამ საპყრობილეში დაამწყვდია რევოლუციურად განწყობილი ცნობილი მწერლები და ახლა გულმოდგინედ სწმენდს საჯარო ბიბლიოთეკებს „საეჭვო წიგნებისაგან“. ამ ბოლო დროს მან კონფისკაცია უყო გორკის, ჯეკ ლონდონის, მაიკლგოლდისა და მთელ რიგ სხვა მწერალთა ნაწარმოებთ.

გერმანიის გაზეთი საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურთიერთობის შესახებ

ბერლინი, 28 იანვარი (საკდესი). „კელნიშე ციტუნგი“ სწერს: საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ეკონომიურ მოლაპარაკებისადმი, რაც არაჩვეულებრივ სწრაფად დამთავრდა, დიდ ინტერესს იჩენდნენ არა მარტო ბულგარეთში, არამედ საზღვარგარეთაც. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ლაპარაკია არა მარტო სამეურნეო საკითხებზე, ოომლებიც მოლაპარაკების ობიექტს წარმოადგენდნენ, არამედ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებაზედაც. მიღწეული შეთანხმების შედეგები ამჟამადვე შესამჩნევია. საბჭოთა გაზეთები სოფიის ქუჩებში თავისუფლად იყიდება. გაიხსნა საბჭოთა წიგნის მაღაზია. კინოთეატრებში საბჭოთა ფილმებს უჩვენებენ.

ამ ორი სახელმწიფოს დაახლოებას მტკიცე ბაზა აქვს ბულგარელ ხალხში, რომელიც დიდ სიმპატიებს გრძნობს საბჭოთა კავშირისადმი და ყოველგვარად მიესალმება ბულგარეთისა და სსრ კავშირის დაახლოებას. ბულგარელ ხალხში საბჭოთა კავშირისადმი დამკვიდრებული ამ სიმპატიების მიზეზი ის არის, რომ ბულგარელი ხალხი რუს ხალხს თავის განმთავისუფლებლად სთვლის.

იაპონური პრესა იაპონია-ამერიკის ურთიერთობის შესახებ

ტოკიო, 21 იანვარი (საკდესი). გაზეთი „მიაკო“ მოწონავე სტატიაში აღნიშნავს, რომ, იაპონია-ამერიკის საგაჭრო და სანავიგაციო ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, დადგა ორივე ქვეყნის უხელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდი. — არ შეიძლება სათანადოდ არ იქნას შეფასებული, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — ის მორალური ეფექტი, რომელიც ამ სიტუაციიდან გამომდინარეობს, ვინაიდან ამერიკას ყოველ მომენტში შეუძლია ცალმხრივი აქტით გამოიყენოს იაპონიის მიმართ შემზღუდავი ღონისძიებანი. ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ხელშეკრულების გაუქმებით ცდილობენ შეაჩერონ იაპონიის აქტივობა ჩინეთში.

გაზეთი „ციუგაი სიოგიო“ სწერს: „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არა მარტო შეაჭმნეს უხელშეკრულებო მდგომარეობა, არამედ ცდილობენ აგრეთვე გაადიდონ თავისი საზღვაო ფლოტი და გაამაგრონ გუანის კუნძული. საჭიროა ანალიზი გაუკეთდეს, თუ როგორ განვითარდება შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის ურთიერთობა. ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უარი სთქვა იცოს აღმოსავლეთ აზიაში იაპონიის მიერ ახალი წესების დამყარების პოლიტიკა. ის ფაქტი, რომ ამერიკას განზრახვა არა აქვს დასდოს ახალი ხელშეკრულება ან დროებითი შეთანხმება, ჩვენს თვალსაზრისს ადასტურებს.

სასჯიკად ჰგმობენ ვან ძინ-ვეის

ჩუნცინი, 28 იანვარი (საკდესი). შანსის პროვინციის ნაციონალურ-პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება — სასტიკად დაჰგმონ იაპონიისა და ვან ძინ-ვეის შორის დადებული შეთანხმება.

ჩინეთის სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მათ შორის პროფკავშირებმა, სავაჭრო პალატამ, ქალთა ასოციაციამ, უნივერსიტეტებისა და საშუალო სკოლების გაერთიანებულმა ასოციაციამ, ფაბრიკებისა და ქარხნების გაერთიანებულმა ასოციაციამ და გაზეთების გაერთიანებულმა ასოციაციამ ნაციონალურ მთავრობასა და მთელ ჩინელ ხალხს მიმართეს დეპეშით, რომლითაც მოითხოვენ გამცემელ ვან ძინ-ვეის სასტიკად დასჯას.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, — ნათქვამია დეპეშაში, — რომ „ზავის სასარგებლო მოძრაობა“, რასაც იაპონელები და ვან ძინ-ვეი ატარებენ, მიმართულია ჩინეთის დამონებისაკენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩინეთის მიერ ხანგრძლივი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის პოლიტიკა ქვეყანას თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მოუპოვებს.

ჩვენს წინაშე ერთადერთი გზაა— შეიარაღებული წინააღმდეგობის განგრძობა სრულ გამარჯვებამდე. მტრისა და გამცემლების ინტრიგები რომ მოვსპოთ, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩინეთის ერთიანობა“.

ინგლისი და სკანდინავიის ქვეყნები

სტოკჰოლმი, 28 იანვარი (საკდესი). ნორვეგიის გაზეთმა „ტიდენს ტანიმა“ ინგლისისა და სკანდინავიის ქვეყნების სავაჭრო მოლაპარაკების შესახებ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც სწერს: „ინგლისთან საგაჭრო ხელშეკრულება მარტო შვეიცარამ დასდო. ნორვეგია - ინგლისს მოლაპარაკება ჩიხში მოემწყვდა; დანია-ინგლისის მოლაპარაკება, მართალია, გრძელდება, მაგრამ დანიას მისი მიმდინარეობა არ აკმაყოფილებს. ინგლისს გარკვეული ხერხით სურს დაიმორჩილოს ჩრდილოეთის ქვეყნების მთელი საგარეო ვაჭრობა და ამ ქვეყნებში ფაქტიურად კლირინგული ანგარიშსწორება და